პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 1

20/3 წ. "26" 07

ქ.თბილისი

შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ რეუს ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ რეუს (საიდენტიფიკაციო კოდი: 406069169) 5 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 250-ით.
2. შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ რეუს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 26 ივლისის №1 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ქეთევან ჯაყელი

მდივანი
ლიანა ზამბახიძე

დანართი

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1.	ინფორმაციული ტექნოლოგის მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	მესამე	ინფორმაციული ტექნოლოგის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	35
2.	კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსის მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	მესამე	კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	45
3.	ტოპოგრაფისტის მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	მესამე	ტოპოგრაფისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
4.	ტუროპერატორი მე-3 საფეხურის პროფესიული-საგანმანათლებლო პროგრამა	მესამე	ტუროპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
5.	მცირე ბიზნესის მწარმოებლის მე - 4 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	მეოთხე	მცირე ბიზნესის მწარმოებლის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
6.	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (ინდივიდუალური სამკერვალო ნაწარმის ხელოსანი)	მესამე	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის კვალიფიკაცია	60